



საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში N2 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

(2015 წლის 1-2 ივლისი)



www.ombudsman.ge

სარჩევი

1. შესავალი	3
2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა.....	4
3. უსაფრთხოება.....	8
4. პატიმრობის პირობები	13
4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა	13
4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები.....	15
5. სამედიცინო მომსახურება	19
6. კვება	26
7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება	27
8. კონტაქტი გარე სამყაროსთან	30

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 1-2 ივლისს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტში მონაწილე ექსპერტების ტექნიკური ანგარიშები.¹ ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში.

ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. N2 დაწესებულების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი იყო მათ ხელთ არსებული და ჯგუფის მიერ მოთხოვნილი, ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

N2 დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის, დახურული ტიპის დაწესებულებას. დაწესებულება განკუთვნილია 1 840 პატიმრის განთავსებისთვის. ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 1508 პატიმარი (278 ბრალდებული და 1230 მსჯავრდებული), მათ შორის, 13 ქალი და 8 არასრულწლოვანი პატიმარი.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. მიუხედავად ამისა, არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. ამ მხრივ ხაზგასასმელია არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების სამედიცინო პერსონალის მიერ გამოვლენისა და სრულყოფილი დოკუმენტირების ხარვეზები.

უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემას წარმოადგენს N2 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის გამოყენების პრაქტიკა. აღნიშნული ღონისძიების შესახებ მიღებული ბრძანება არ არის დასაბუთებული და მიზნის პროპორციული. განგაშის საფუძველს იძლევა საანგარიშო პერიოდში პატიმართა შორის ძალადობის 33 შემთხვევა, რაც ძალადობის რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების და ძალადობის პრევენციის კუთხით არსებულ პრობლემაზე მიუთითებს.

საკნებში არსებული პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია. საკნების უმრავლესობა დღის სინათლით კარგად არის განათებული, ხელოვნური განათებაც საკმარისია, თუმცა არადამაკმაყოფილებელია 8 და 10 ადგილიანი საკნების განათება. დაწესებულების სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სათანადო ხელოვნურ ვენტილაციას. ზოგიერთ საკანში არის სინესტე. საკარანტინო განყოფილებაში კი არასათანადო პირობები და ანტისანიტარიაა.

¹ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ლევან ბეგიაშვილი, ხატია ხელაძე, ირინა ფუტკარაძე, ზურაბ ფუტკარაძე, ხათუნა ჭყოიძე, შორენა ლუდუშაური

დაწესებულებაში ყველა პატიმარი არ არის უზრუნველყოფილი 4 კვადრატული მეტრის ფართით. აღსანიშნავია, რომ სამართლო საკნებში არსებულ სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს D კორპუსში არსებული სამართლო საკნები, სადაც პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა მიუხედავად ამისა, ეს საკნები იშვიათად გამოიყენება.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2014 წლის შემდეგ გაიზარდა დაწესებულებაში ექთნების რაოდენობა, თუმცა, წინა წელთან შედარებით, შემცირდა ექიმების რაოდენობა, რაც ეწინააღმდეგება სახალხო დამცველის რეკომენდაციას დაწესებულებაში ექიმების რაოდენობის გაზრდის შესახებ. ქალი პატიმრები სრულად ვერ სარგებლობენ გენდერულად სპეციფიკური სამედიცინო მომსახურებით. მწვავე პრობლემას წარმოადგენს ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროული მიწოდება. დაწესებულების მალაზია პროდუქციით სათანადოდ არ მარაგდება.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ჩატარდა პატიმართა გამოკითხვა სარეაბილიტაციო აქტივობებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში არ არის დანერგული მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები.

2014 წლის მონაცემებთან შედარებით 2015 წელს გაზრდილია დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა. ამ მხრივ პრობლემურია დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობა, რაც თავისთავად ხელს უშლის ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას. საგანგაშოა სამართლო საკანში მოთავსების ფაქტების ზრდა, განსაკუთრებულ შემთხვევებს იწვევს ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრობლემას წარმოადგენს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით, აგრეთვე პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ხშირ შემთხვევაში, პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. დაწესებულებაში ვერ ხერხდება სატელეფონო ზარის განხორციელება კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებადკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“²

² გაეროს ზოგადი კომენტარი No 29, საგანგებო მდგომარეობა (მუხლი 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 აგვისტო 2001, პარაგრაფი 13ა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.³ სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.⁴

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პატიმრების მიმართ დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია, თუმცა N2 დაწესებულებაში არსებული ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის არაპროპორციულად დაწესების პრაქტიკა, დისციპლინური სახდელების გამოყენების ზრდის ტენდენცია, პატიმართა შორის ძალადობის პრევენციის კუთხით არსებული პრობლემები, ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევები და ამ ანგარიშში ქვემოთ მითითებული სხვა გარემოებები არასათანადო მოპყრობის რისკ ფაქტორებს ქმნის.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2015 წლის 1 ივლისს, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში შეამოწმეს დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულებაში დაზიანებით შესახლების და ადგილზე დაზიანების მიყენების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

N	2015 წლის პირველი 5 თვის მონაცემები დაზიანებების შესახებ	თვეები					
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	სულ
1	თვითდაზიანებით შემოსულ ბრალდებულთა რაოდენობა	0	0	3	2	1	6
2	თვითდაზიანებით შემოსულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	3	0	0	0	3
3	საყოფაცხოვრებო ტრავმით შემოსულ ბრალდებულთა რაოდენობა	5	5	7	1	6	24
4	საყოფაცხოვრებო ტრავმით შემოსულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	2	0	0	0	2
5	სხვის მიერ მიყენებული ტრავმით შემოსულ ბრალდებულთა რაოდენობა	5	1	4	6	8	24
6	სხვის მიერ მიყენებული ტრავმით შემოსულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0	0	0

³ იხ. Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI

⁴ იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II

7	დაუზუსტებელი ტრავმით შემოსულ ბრალდებულთა რაოდენობა	2	0	2	1	3	8
8	დაუზუსტებელი ტრავმით შემოსულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	1	0	0	0	0	1
9	დაწესებულებაში თვითდაზიანების შემთხვევათა რაოდენობა	29	26	49	43	49	196
10	დაწესებულებაში საყოფაცხოვრებო ტრავმების შემთხვევათა რაოდენობა	11	12	6	15	12	56
11	დაწესებულებაში სხვის მიერ მიყენებული ტრავმების შემთხვევათა რაოდენობა	3	7	2	8	9	29
12	დაწესებულებაში დაუზუსტებელი ტრავმების შემთხვევათა რაოდენობა	2	1	0	0	0	3
13	წარმატებული სუიციდის მაჩვენებელი	0	0	0	0	1	1
14	წარუმატებელი სუიციდის მაჩვენებელი	0	5	4	1	2	12

განსაკუთრებით საგანგაშოა სხვის მიერ მიყენებული დაზიანებების მაჩვენებელი. ასევე, საგულისხმოა დაუზუსტებელ ტრავმათა მაჩვენებელი. აქ საუბარია შემთხვევებზე, როდესაც პატიმარი არ განმარტავს, სად მიიღო დაზიანება. ამ შემთხვევაში, აუცილებელია მოხდეს სრულყოფილი შემოწმება, რის შედეგადაც ექიმმა შეიძლება დაასკვნას, წარმოშობს თუ არა არასათანადო მოპყრობის შესახებ ვარაუდს დაზიანების ხასიათი და ლოკალიზაცია.

შემოწმების შედეგების მიხედვით დაფიქსირდა, რომ თვითდაზიანებებს უმეტესად იყენებენ ერთი და იგივე პატიმრები. ერთ-ერთმა პატიმარმა სუიციდი სცადა სამჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში. ჟურნალში ჩანაწერის მიხედვით, პირველი შემთხვევის დროს კისრის მარჯვენა ზედაპირზე აღენიშნებოდა ჰიპერემია ხაზის სახით, მეორე შემთხვევის დროს სხეულზე რაიმე დაზიანების კვალი არ შეინიშნებოდა, მესამე შემთხვევის დროს კისრის არეში ორივე მხარეს სისხლნაჟღენთი, კეფის არეში აღენიშნებოდა დაჟეჟილობა და სწორი კიდეებით სისხლდენა.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: დაზიანებების ჟურნალი ხშირად არ არის სრულყოფილად შევსებული. მაგალითად, მითითებული იყო, რომ პატიმარს აღენიშნებოდა დაზიანება, თუმცა არაფერი იყო ნათქვამი დაზიანების წარმომავლობასა და ხასიათზე. ასევე, რიგ შემთხვევებში, არ არის მითითებული, თუ რა სახის სამედიცინო დახმარება გაეწია.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემოწმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემოწმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისთვის (მათ შორის, მის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას);
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას;

- ექიმის დასკვნებს ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიაწოდებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე.

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური ფორმები, რაც საშუალებას მოგვცემს, დაზიანების შესახებ ინფორმაცია ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით.⁵

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების აუცილებლობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის პროტოკოლი“.⁶

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების ალბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.⁷

საგულისხმოა, რომ N2 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როდესაც დაზიანების მიზეზად პატიმარი მიუთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, აუცილებლად მოხდეს სხეულის სრულყოფილად დათვალიერება, სხვა დაზიანებების აღმოჩენის მიზნით, რათა გაირკვეს აქვს თუ არა მას სხვა დაზიანებები, ასევე შეიძლებოდა თუ არა პატიმარს ეს დაზიანება მიეღო იმ გარემოებებში, რომლის შესახებაც ის შემოწმების დროს უთითებს და ხომ არ არსებობს ეჭვი, რომ მის მიმართ განხორციელდა ძალადობა. აღნიშნულ პრობლემა მიმოხილულია და სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები გაცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის წლიურ ანგარიშში.⁸

⁵ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74

⁶ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul protocol) / გაერო, 2004, პარ. 105

⁷ იქვე პარ. 122

⁸ იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის ანგარიში, გვ. 21-32 და 42

3. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრისთანავე ადმინისტრაცია წყვეტს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელება.“

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.⁹

„ევროპული ციხის წესების“ 50.1 მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო

⁹ წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 15.08.2015]

პატიმრობისთვის.“ 50.4 მუხლის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.“ 50.5 მუხლის თანახმად, „საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4 მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მართალია, მე-3 მუხლში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა ვალდებულება იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ბრძანებაში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ არა არის ეფექტური სხვა საშუალებების გამოყენება მოცემულ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურ საქმეში რისკი უნდა შეფასდეს დეტალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

ვიზიტის დროს, N2 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილი იყო 49 საკანი,¹⁰ სადაც მოთავსებული იყო 120 პატიმარი.

შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებები არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა გარემოებების გამო გახდა აუცილებელი ასეთი ზომის გამოყენება. ისევე როგორც სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში, N2 დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, ბრძანების გამოცემას საფუძვლად უდევს დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობა. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევებში არც აღნიშნული შუამდგომლობები არ არის დასაბუთებული. კერძოდ, შუამდგომლობებიდან არ ირკვევა, რამდენად პროპორციულია აღნიშნული ზომა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და საერთოდ, არსებობს თუ არა ამ ზომის გამოყენების საჭიროება. ხშირად, შუამდგომლობებში მეთვალყურეობის დაწესების მიზნად ზოგადად არის მითითებული პატიმრის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, შემდგომი პროფილაქტიკა და მოსალოდნელი ექსცესების თავიდან აცილება, შინაგანაწესის დაცვის უზრუნველყოფა და ა.შ. თუმცა არ არის დასაბუთებული, კონკრეტულად რა საფრთხეები არსებობს და რა გარემოებების გამო გახდა აუცილებელი აღნიშნული ღონისძიების გამოყენება. ამასთან, შუამდგომლობებში მითითებულია,

¹⁰ აქედან, 7 საკანი მდებარეობს სამედიცინო ნაწილში, 4 – არასრულწლოვანთა განყოფილებაში, ხოლო 6 არის სამართლო საკანი.

რომ მეთვალყურეობის დაწესების მოთხოვნისას უსაფრთხოების სამსახური ითვალისწინებს პატიმრის პიროვნულ თვისებებს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, კერძოდ რა თვისებები განაპირობებს აღნიშნული ზომის გამოყენების საჭიროებას.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში, უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებში საერთოდ არ არის ნახსენები, რა მიზანს ემსახურება მეთვალყურეობის დაწესება, მხოლოდ მითითებულია, რომ მსჯავრდებულთა გადაჯგუფების გამო, პატიმარი გადაყვანილ იქნა ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილ საკანში ხოლო, თუ რა განაპირობებს აღნიშნული ზომის მიღების აუცილებლობას, დასაბუთებული არ არის.

ასევე, რიგ შემთხვევებში, უსაფრთხოების განყოფილება შუამდგომლობით ითხოვს პატიმრის გადაყვანას სამედიცინო ნაწილის საკანში და მის მიმართ მეთვალყურეობის დაწესებას. უსაფრთხოების განყოფილება აღნიშნულ შუამდგომლობებში მიუთითებს, რომ პატიმრის სამედიცინო ნაწილში გადაყვანას ითხოვს მთავარი ექიმი, თუმცა, როგორც შემოწმების შედეგად გაირკვა, აღნიშნულ შემთხვევებში მთავარი ექიმი პატიმრის გადაყვანას ითხოვდა მასზე სამედიცინო მეთვალყურეობის განხორციელების მიზნით და არა – ვიზუალური მეთვალყურეობის განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მეთვალყურეობის დაწესება ხდება ისეთი საფუძვლით, რაც პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არ არის, ასე მაგალითად, აღნიშნული ნაწილი არ ითვალისწინებს მეთვალყურეობის დაწესებას შემდგომი პროფილაქტიკის მიზნით, შესაბამისად, ასეთი მეთვალყურეობა არ ემსახურება პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ლეგიტიმურ მიზანს და ამრიგად, უკანონოა. მართალია, პატიმრობის კოდექსის ზემოთ აღნიშნული დებულება ითვალისწინებს დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, „სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად“ მეთვალყურეობის დაწესების უფლებამოსილებას, მაგრამ მითითება „შინაგანაწესის დაცვის უზრუნველყოფის მიზნის“ შესახებ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ფართო ინტერპრეტაციისა და შესაბამისად თვითნებობის შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ ჩანს, კონკრეტულად შინაგანაწესის რა მოთხოვნის დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება მეთვალყურეობა, ასევე ქმედების ხასიათი და ის ფაქტი, თუ რატომ არის შინაგანაწესის დაცვის უზრუნველსაყოფად მეთვალყურეობა უალტერნატივო ზომა და ეს მაშინ, როცა არსებობს სხვა საშუალებები, მათ შორის, დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა, იმავე მიზნის მისაღწევად.

ამასთან, როგორც მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, დირექტორის მიერ ელექტრონული მეთვალყურეობის გაგრძელების შესახებ ბრძანების გამოცემა ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და არ წარმოადგენს დაწესებული მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების პერიოდულად გადასინჯვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, ასეთი ბრძანებები გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი გადაყავთ ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილი ერთი საკნიდან მეორეში.

პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამართლო საკანში მოთავსება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.

რაც შეეხება სპეციალურ საშუალებებს, პატიმრობის კოდექსის 57¹ მუხლის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი.

ვიზიტის დროს გაირკვა, რომ N2 დაწესებულებაში 2015 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში არაუმეტეს 24 საათით სამართლო საკანში პატიმრის გადაყვანა მოხდა 52 შემთხვევაში, ხოლო ხელბორკილი გამოყენებულ იქნა 14 შემთხვევაში.

შემოწმების შედეგად ასევე გაირკვა, რომ N2 დაწესებულებაში საკმაოდ ხშირია პატიმართა შორის კონფლიქტი, რაც გამოიხატება სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში. დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან 2 ივლისამდე პერიოდში პატიმართა შორის დაპირისპირება მოხდა 33 შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია კონფლიქტები არასრულწლოვან პატიმართა შორის. ასევე იყო ჯგუფური დაპირისპირების შემთხვევები და ერთ შემთხვევაში მოხდა ბრალდებულისა და მსჯავრდებულის დაპირისპირება, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან კანონის თანახმად, ბრალდებული და მსჯავრდებული დაწესებულებაში თავსდებიან განცალკევებით და გაურკვეველია, თუ სად და როგორ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს და რა გარემოებებში მოხდა დაპირისპირება.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას „დინამიკური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის

პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. პენიტენციური დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.¹¹

პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს, როგორცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვა და საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება.¹² თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.¹³

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, N2 დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად იყენებს „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს (ელექტრონულ მეთვალყურეობა, იზოლირება), რაც ვერ ჩანანაცვლებს „დინამიკური უსაფრთხოების“ ზომებს.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- შეისწავლოს N2 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის გამოყენების პრაქტიკა და უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ღონისძიების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული
- ვიზუალური მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტურია
- შეისწავლოს N2 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მუშაობის პრაქტიკა და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა სათანადო სწავლებისა და ძალადობის რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გაძლიერების გზით
- N2 დაწესებულებაში გატარდეს ყველა საჭირო ზომა პატიმართა შორის ძალადობის პრევენციის მიზნით და განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება
- უზრუნველყოს N2 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება, ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი

¹¹ United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf

¹² იქვე, გვ. 13

¹³ UN General Assembly, Code of conduct for law enforcement officials, 5 February 1980, A/RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.refworld.org/docid/48abd572e.html>

პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება

- ტრენინგების მდგრადობის შესანარჩუნებლად, შემუშავდეს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სუპერვიზიის მექანიზმი

4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

ევროპული ციხის წესების თანახმად, პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემას და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე განმარტოების მოთხოვნებს. ამასთან, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს¹⁴ „ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონირების ჯეროვანი სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს¹⁵. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო და არაადამიანური მოპყრობის გარდა, ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს იმ გარემომცვე, რომელშიც პირი იმყოფება. ციხის ევროპული წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით¹⁶.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირმა სასჯელი ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში მოიხადოს, რათა სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.¹⁷ სასამართლო ასევე

¹⁴ 18.1 წესი.

¹⁵ 18.2 წესი.

¹⁶ წესი 4.

¹⁷ Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI.

აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.¹⁸

საკარანტინო ნაწილში განლაგებულია 5 საკანი და საშხაპე. საშხაპეში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის სისტემა. საკნებში პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი სივრცე 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. ყველა საკანი თითქმის იდენტურია (თითოეული საკნის ფართობი დაახლოებით 15 კვ.მ.-ს შეადგენს) და განკუთვნილია ექვსი პატიმრის განსათავსებლად. საკნებში დღის სინათლე კარგად შედის, ხელოვნური განათებაც დამაკმაყოფილებელია, სავენტილაციო სისტემა ფუნქციონირებს, თუმცა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საკნების ვენტილაციას. საკანში დგას ორიარუსიანი რკინის საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები. საკანში ცალკე არის გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. საკნებში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა.

A, B, C, D, E და F საცხოვრებელ კორპუსებში განლაგებულია 2 (11,1 მ²), 4 (15,6 მ²), 6 (18,9 მ²), 8 (22-25მ²) და 10 (32,49 მ²) ადგილიანი საკნები. დაწესებულების სამედიცინო ნაწილში არის 3 (18.14მ²) და 4 (15,6მ²) ადგილიანი საკნები. მოცემული გაანგარიშების დროს არ არის გამოკლებული საპირფარეშოს ფართი და ფართი, რომელიც საწოლს და მაგიდას უკავია. აღსანიშნავია, რომ 6, 8 და 10 ადგილიან საკნებში ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი ფართი 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია. ყველა საკანში არის 1 ფანჯარა (1.35X0.96სმ). 2, 3, 4 და 6 ადგილიან საკნებში დღის სინათლე კარგად შედის, ხელოვნური განათებაც დამაკმაყოფილებელია, 8 და 10 ადგილიან საკნებში კი ერთი ფანჯარა ვერ უზრუნველყოფს სათანადო ბუნებრივ განათებას. საკნებში სავენტილაციო სისტემა გაუმართავია, მხოლოდ გამწოვი მუშაობს საპირფარეშოში. საკნებში დგას ორიარუსიანი საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები. პატიმრებს საკანში აქვთ ტელევიზორი. საკანში არის ცალკე გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. კვირაში ორჯერ სარგებლობენ საშხაპეთი.

ვიზიტის მიმდინარეობის დროს განხორციელდა N2 დაწესებულებაში ქალ პატიმართათვის განკუთვნილი განყოფილების (E კორპუსი) ფიზიკური გარემოს შემოწმება. განყოფილებაში არის ოთხი საკანი, თითოეული განკუთვნილი 6 პატიმრის განსათავსებლად. საკნის იატაკი ბეტონისაა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. უზრუნველყოფილია მუდმივი წყალმომარაგება. საკანში ცალკე არის გამოყოფილი სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. ქალ პატიმრებს საკანში აქვთ ტელევიზორი და რადიო. ვიზიტის დროს სულ განთავსებული იყო 13 პატიმარი ქალი. დაწესებულებაში არსებობს ქალი პატიმრების პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის პრობლემა.

N2 დაწესებულების არასრულწლოვან პატიმართა განყოფილებაში არის 5 საკანი, 2 საკლასო ოთახი, 1 სავარჯიშო დარბაზი, ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის ერთი სამუშაო ოთახი (ერთობლივი) და ერთი საშხაპე. ვიზიტის დროს განყოფილებაში 8 არასრულწლოვანი პატიმარი იმყოფებოდა. თითოეულ საკანში არის 2 ორიარუსიანი საწოლი, 1 რკინის მაგიდა და 2 რკინის

¹⁸ იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II.

სკამი საზურგის გარეშე, საკანში აქვთ ტელევიზორი და რადიო. საკნის იატაკი ბეტონისაა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. უზრუნველყოფილია მუდმივი წყალმომარაგება. საკანში ცალკე არის გამოყოფილი სანიტარული კვანძი.

პატიმართა უმეტესობის განმარტებით, თეთრეულით მხოლოდ დაწესებულებაში შესვლის დროს უზრუნველყოფენ. შემდგომში თეთრეულს აღარ უცვლიან, რადგან, როგორც ადმინისტრაციის წამომადგენლები ეუბნებიან, დაწესებულებაში თეთრეულის საკმარისი მარაგი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში პატიმრებს მათი ოჯახის წევრები უზრუნველყოფენ სუფთა თეთრეულით. თეთრეულის გარეცხვა ხდება როგორც დაწესებულებაში, ასევე უშუალოდ პატიმართა მიერ ან ოჯახის მეშვეობით. გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა განმარტავს, რომ ვინაიდან თეთრეული საერთო სარეცხის მანქანებში ირეცხება სხვა პატიმართა ტანსაცმელთან ერთად, ძირითადად ურჩევნიათ ან თვითონ გარეცხონ, ან ოჯახს გაატანონ. იმ შემთხვევაში, თუ პატიმრები თვითონ რეცხავენ თავიანთ ტანსაცმელსა და თეთრეულს გაშრობა თავიანთ საცხოვრებელ საკნებში უწევთ.

სამართლო საკნების ფართობი, გარდა D კორპუსში არსებული სამართლო საკნებისა, შეადგენს 4,5-5,5 კვადრატულ მეტრს. საკანში არის საწოლი (ფიცარნაგი), სკამი და მაგიდა. საკნებში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობისა და სავენტილაციო სისტემები. განათება დამაკმაყოფილებელია. საკანში საპირფარეშო ნაწილობრივ გამოყოფილია, საკანში არსებულ სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საკანში არის სივიწროვე. ზოგიერთ საკანში დამონტაჟებულია სათვალთვალ კამერები. აღსანიშნავია, რომ D კორპუსში არსებული 16 სამართლო საკნის ფართობი შეადგენს 11 კვადრატულ მეტრს და შესაბამისად, საკანში არსებული პირობები ზოგადად დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ამისა, ეს სამართლო საკნები გამოიყენება მხოლოდ D კორპუსში განთავსებული პატიმრების მოსათავსებლად. აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების ყველა შემთხვევაში მხოლოდ D კორპუსში არსებული სამართლო საკნების გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის ოქტომბერში¹⁹ რეკომენდაციით მიმართ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- სამართლო საკნებში შეიქმნას ადამიანის ღირსებასთან თავსებადი პირობები, დროებით კი, დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსება განხორციელდეს მხოლოდ D კორპუსში არსებულ სამართლო საკნებში
- ყველა პატიმარი უზრუნველყოფილ იქნას 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით და საკნებიდან გატანილ იქნას ზედმეტი საწოლები

¹⁹ იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 21-22 ოქტომბერს N2 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიში, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2191.pdf> [ბოლოს ნანახია 11.09.2015]

- დაწესებულების ყველა კორპუსში უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ვენტილაცია
- ყველა პატიმარი, სათანადო პერიოდულობით, უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ოდენობის სუფთა თეთრეულით

4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

N2 დაწესებულებაში A კორპუსს აქვს 26 სასეირნო ეზო (თითოეული 18 კვ.მ.), C კორპუსს - 15 ეზო (თითოეული 18 კვ.მ.), D კორპუსს - 36 ეზო (თითოეული 23 კვ.მ.), E კორპუსს 2 სასეირნო ეზო. სასეირნო ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურულია, შიგნით დგას ხის გრძელი სკამები და ურნები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. პატიმრები ყოველდღიურად ერთი საათი იმყოფებიან სუფთა ჰაერზე. არასრულწლოვან პატიმრებს შეუძლიათ ივარჯიშონ ყოველდღიურად მათთვის სპეციალურად მოწყობილ სავარჯიშო ოთახში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

გასათვალისწინებელია, რომ საქმე ეხება დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს, რომლებიც 23 საათს ატარებენ საკნებში და ყოველდღიურად მათი გასეირნება 1 საათით ისევ საკნის ტიპის სასეირნო ეზოებში ხდება, რაც შეიძლება მძიმედ აისახოს მათ ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, აუცილებელია დაწესებულებაში შეიქმნას სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშის სათანადო პირობები და ამასთანავე გაიზარდოს ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა.

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გაიღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ, თუ სხვა სახის ღონისძიებებში.

რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს.

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით.²⁰ ევროპული ციხის წესების თანახმად, ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო

²⁰ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 78

პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.²¹

N2 დაწესებულებაში 2015 წლის პირველი 6 თვის მანძილზე ჩატარებული აქტივობების შესახებ მონაცემები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

სარეაბილიტაციო/სასწავლო პროგრამები სრულწლოვანი პატიმრებისთვის			
N	სახელწოდება	თვეები	ჩართულობა
1.	საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა: სოციალური ბიუროების დაარსება ყოფილი პატიმრების, პატიმრებისა და პრობაციონერებისთვის	თებერვალი	7
2.	ცხოვრების ჯანსაღი წესი	მაისი	12
3.	სტრესის მენეჯმენტი	ივნისი	11
4.	კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი	თებერვალი	27
		მარტი	24
		აპრილი	24
5.	ხეზე კვეთა	თებერვალი	9
		მარტი	9
		აპრილი	9
		მაისი	8
6.	ქარგვა	ივნისი	7
		თებერვალი	9
		მარტი	9
		აპრილი	7
7.	კომპიუტერული გრაფიკის შემსწავლელი კურსი (მიმდინარე)	მაისი	6
		ივნისი	6
		ივნისიდან	9
8.	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი (მიმდინარე)	ივნისიდან	10

გარდა მითითებული აქტივობებისა, N2 დაწესებულებაში ჩატარდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის, ქრისტესშობისადმი მიძღვნილი ღონისძიება (იანვარი); ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება (მარტი); ალდგომის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება (აპრილი); წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება (აპრილი); განხორციელდა ფილმების ჩვენება, როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პატიმრებისთვის;

რაც შეეხება პატიმართა სპორტულ აქტივობას, წლის პირველი 6 თვის მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

N	აქტივობა	თვეები	ჩართულობა
1.	ტურნირი ტენისში	იანვარი	8
		მარტი	20
		ივნისი	8
2.	ტურნირი ჭადრაკში	თებერვალი	14

²¹ ევროპული ციხის წესები, წესი 28.1.,

ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, არასრულწლოვანი პატიმრები მიმდინარე წლის პირველი 6 თვის მანძილზე იღებდნენ ზოგად განათლებას და ჩართული იყვნენ შემდეგ აქტივობებში:

არასრულწლოვანთა ჩართულობა სარეაბილიტაციო აქტივობებში			
N	დასახელება	თვეები	ჩართულობა
1.	არტ-თერაპია	თებერვალი	10
		მარტი	11
		აპრილი	11
		მაისი	11
		ივნისი	6
2.	საგანმანათლებო ტრენინგ-პროგრამა „ნარკომანია“	თებერვალი	9
		მაისი	11
3.	საგანმანათლებო ტრენინგ-პროგრამა „მსოფლიოს 7 საოცრება“	თებერვალი	9
		მარტი	11
4.	საგანმანათლებო ტრენინგ-პროგრამა „შიდსი“	მარტი	11
		ივნისი	8
5.	საგანმანათლებო ტრენინგ-პროგრამა „ბიბლიოთერაპია“	აპრილი	15
		მაისი	11
		ივნისი	8
6.	საგანმანათლებო ტრენინგ-პროგრამა „ტუბერკულოზი“	აპრილი	15
7.	საგანმანათლებო ტრენინგ-პროგრამა „ალკოჰოლიზმი“	მაისი	11
8.	საგანმანათლებო ტრენინგ-პროგრამა „თავისუფალი თემა“	აპრილი	15
		მაისი	11

ცხრილებში მოცემული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ N2 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობაში პატიმართა ჩართულობა დაბალია. არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ პატიმარს, სურვილის მიუხედავად, ვერ რთავენ შესაბამის აქტივობაში უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. მართალია, დაუშვებელია უსაფრთხოების დაცვის ინტერესის უგულვებელყოფა, მაგრამ ეს ინტერესი არ უნდა გახდეს პატიმრისათვის სარეაბილიტაციო სერვისის მიწოდების დამაბრკოლებელი გარემოება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არადამაკმაყოფილებელია სარეაბილიტაციო აქტივობების, მათ შორის სპორტული ღონისძიებების სიხშირე და მრავალფეროვნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოხდეს პატიმართათვის საინტერესო აქტივობების შეთავაზება და ამ აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები. ამასთან, აუცილებელია ქალთა და არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის თავისებურებების გათვალისწინება.

დაწესებულების სოციალური განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს ჩატარდა პატიმართა გარკვეული რაოდენობის გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა შეთავაზებული აქტივობების მიმართ პატიმართა დაინტერესების შეფასებას. კითხვარი მოიცავდა

კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალს, რომლიდანაც პატიმრებს უნდა აერჩიათ მათთვის სასურველი აქტივობა.

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელადსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“²² „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“²³ „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“²⁴

N2 დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სამეურნეო სამსახურში ირიცხებოდა 56 პატიმარი, რომლებიც ძირითადად ასუფთავებდნენ, ალაგებდნენ, რეცხავდნენ თეთრეულს, არიგებდნენ პროდუქტსა და საკვებს, ასევე ახორციელებდნენ სხვა მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. აღნიშნულ საქმიანობაში პატიმრები იღებდნენ შესაბამის შრომით ანაზღაურებას.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა პატიმრის ყოფნა სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტი ხნით
- მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინოს პატიმართა ინტერესის სფეროები. უზრუნველყოფილ იქნას შეთავაზებული აქტივობების მრავალფეროვნება
- დაიხვეწოს პატიმართა სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მსურველთა იდენტიფიცირების მიზნით შექმნილი კითხვარი და მეთოდოლოგია
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა N2 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობებში ქალ პატიმართა ჩართულობის უზრუნველსაყოფად
- დაწესებულებაში შეიქმნას სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო პირობები და რეგულარულად გაიმართოს მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებები
- მიიღოს საჭირო ზომები, რათა მეტ პატიმარს მიეცეს დასაქმების შესაძლებლობა

²² ციხის ევროპული წესები. წესი 26.1.

²³ იქვე, 26.2–ე წესი

²⁴ ციხის ევროპული წესები. წესი 26.3.

5. სამედიცინო მომსახურება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლება აღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.²⁵

N2 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტი განთავსებულია B კორპუსის მესამე სართულზე, სადაც 35 პაციენტზე გათვლილი 10 პალატაა (ხუთი 4 ადგილიანი და ხუთი 3 ადგილიანი). სამედიცინო ნაწილში შესაძლებელია შემდეგი სახის მანიპულაციების ჩატარება: ინექციები, ინტრავენური გადასხმები, გადახვევები, მცირე ქირურგიული მანიპულაციები. ოთხივე კორპუსში ფუნქციონირებს პირველადი ჯანდაცვის კაბინეტები.

დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, N2 დაწესებულების სამედიცინო და სხვა დამხმარე პერსონალის შემადგენლობაში შედის: 11 ექიმი (1 მთავარი ექიმი, 1 ფსიქიატრი, 1 სტომატოლოგი, 4 ოჯახის ექიმი/თერაპევტი, 4 მორიგე ექიმი) და 16 ექთანი/საშუალო მედპერსონალი (6 ყოველდღიური ექთანი/ოჯახის ექთანი, 8 მორიგე ექთანი, 1 წამლების სამარაგოს პასუხისმგებელი პირი). დაწესებულებაში მუშაობს 4 პირველადი ჯანდაცვის გუნდი. I გუნდი: 1 ოჯახის ექიმი, 1 ექთანი; II გუნდი: 1 ოჯახის ექიმი, 1 ექთანი; III გუნდი: 1 თერაპევტი, 1 ექთანი (მუშაობენ ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა). 4 მორიგე გუნდი. თითოეულ გუნდში 1 ექიმი, 2 ექთანი, რომლებიც მუშაობენ 4 ცვლაში. მორიგე ექიმები არიან სხვადასხვა სპეციალობის ექიმები: 1 ქირურგი, 1 ფთიზიატრი, 1 უროლოგი, 1 ნევროპათოლოგი, რომლებიც გარდა მორიგე ექიმის ფუნქციისა, ასევე საკუთარი სპეციალიზაციის (კომპეტენციის) მიხედვით უწევენ დახმარებას პაციენტებს.

ზემოთ მოცემული სამედიცინო პერსონალიდან დაწესებულების მთავარი ექიმი, ფსიქიატრი, სტომატოლოგი, ადმინისტრაციული ასისტენტი (ექთანი), ფიზიო პროცედურებისა და სტერილიზაციაზე პასუხისმგებელი პირი (ექთანი), სამედიცინო ნარჩენების მენეჯმენტზე პასუხისმგებელი პირი (ექთანი) და წამლების სამარაგოს პასუხისმგებელი პირი მუშაობენ ყოველდღე (სრული სამუშაო დღე) შაბათ-კვირის გარდა.

დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტების სახით კონსულტაციებს ატარებს: 1 კარდიოლოგი, 1 დერმატოლოგი, 1 ოფთალმოლოგი, 1 ნევროპათოლოგი, 1 ქირურგი, 1 ინფექციონისტი, 1 ექოსკოპისტი, 1 რენტგენოლოგი, 1 რენტგენ-ლაბორანტი.

²⁵ Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზგასმით იყო აღნიშნული N2 დაწესებულებაში საკმარისი სამედიცინო პერსონალის არარსებობის პრობლემა, კერძოდ, 2014 წლის მანძილზე მუშაობდა 12 ექიმი და 13 ექთანი. ხსენებულ ანგარიშში მითითებული იყო, რომ დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საკმარისი რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების კუთხით არსებული საჭიროებები. როგორც მონიტორინგმა ცხადყო, დაწესებულებაში არსებობს პატიმრების ექიმთან კომუნიკაციის მაღალი მოთხოვნა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მიმდინარეობისას დაწესებულების სამედიცინო პერსონალი მიუთითებდა მათ გადატვირთულობაზე. მართალია 2014 წლის შემდეგ გაიზარდა დაწესებულებაში ექთნების რაოდენობა და ამჟამად 13 ექთნის ნაცვლად დასაქმებულია 16 ექთანი, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს, თუმცა წინა წელთან შედარებით, შემცირდა ექიმების რაოდენობა და 12 ექიმის ნაცვლად, მონიტორინგის ჩატარების მომენტისთვის, დაწესებულებაში 11 ექიმი²⁶ იყო დასაქმებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად 2014 წელს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციისა, გაზრდილიყო დაწესებულებაში ექიმებისა და ექთნების რაოდენობა, ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა ექთნების შემთხვევაში, თუმცა ექთნების რაოდენობა კვლავაც არ არის საკმარისი.²⁷

N2 დაწესებულებაში 2015 წლის პირველი 5 თვის მანძილზე განხორციელებულ პრევენციულ და სამკურნალო ღონისძიებათა მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

N	პრევენციულ და სამკურნალო ღონისძიებათა დასახელება	თვეები				
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
1	პირველადი სამედიცინო შემოწმების მოცვის მაჩვენებელი	207	174	124	114	162
2	ამბულატორიული სერვისების უტილიზაციის მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში	4203	5580	5534	4517	4703
3	სტაციონარული სერვისების უტილიზაციის მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში	10	5	9	8	8
4	ურგენტული მომსახურების უტილიზაციის მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში	0	0	0	0	0
5	ამბულატორიული სერვისების უტილიზაციის მაჩვენებელი სამოქალაქო სექტორის კლინიკებში	25	35	34	34	35
6	სტაციონარული სერვისების უტილიზაციის მაჩვენებელი სამოქალაქო სექტორის კლინიკებში	9	8	8	14	9
7	ურგენტული მომსახურების უტილიზაციის მაჩვენებელი სამოქალაქო	22	12	8	8	11

²⁶ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლების განმარტებით, ამჟამად ექიმის ერთი პოზიცია ვაკანტურია, ანუ ჯამში შტატიტ გათვალისწინებულია ექიმის 12 პოზიცია.

²⁷ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის თანახმად, როგორც წესი, ერთ ექიმზე არ უნდა მოდიოდეს 300, ხოლო ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2007 წელს საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/grc/2008-03-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 20.08.2015]

	სექტორის კლინიკებში					
8	სტომატოლოგიური მომსახურების უტილიზაციის მაჩვენებელი	145	163	238	237	248
9	ტუბერკულოზზე ყველა სახის სკრინინგით მოცვის მაჩვენებელი	1065	1226	1236	1122	1264
10	ტუბერკულოზზე შემოსვლის სკრინინგით მოცვის მაჩვენებელი	128	159	111	82	130
11	სენსიტიური ტუბერკულოზის ინციდენტობის მაჩვენებელი	3	0	3	0	0
12	რეზისტენტული ტუბერკულოზის ინციდენტობის მაჩვენებელი	0	0	0	0	0
13	აივ/ შიდსის სკრინინგით მოცვის მაჩვენებელი	53	53	53	52	52
14	აივ/ შიდსით ავადობის მაჩვენებელი	20	24	22	18	21
15	აივ/ შიდსის ინციდენტობის მაჩვენებელი	0	3	0	0	1
16	B, C ჰეპატიტის სკრინინგით მოცვის მაჩვენებელი	180	250	200	3	0
17	C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართულ პირთა მაჩვენებელი	22	1	0	0	4
18	ფსიქიატრიული მომსახურების უტილიზაციის მაჩვენებელი (ამბულატ.)	285	231	341	291	261
19	ფსიქიატრიული მომსახურების უტილიზაციის მაჩვენებელი (სტაც.)	0	1	1	1	0
20	მეტადონის დეტოქსიკაციის პროგრამაში ახლად ჩართულ პაციენტთა მაჩვენებელი	9	10	6	5	5
21	არა-ოპოიდურ ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა მკურნალობის უტილიზაციის მაჩვენებელი	0	23	43	39	97
22	სხვადასხვა ექიმ-სპეციალისტების მიერ ჩატარებული კონსულტაციები	438	359	481	309	468
23	ვენერიულ დაავადებებზე გამოკვლეულ პირთა მაჩვენებელი	10	7	5	7	7
24	შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა (ჰორმონით უზრუნველყოფა)	3	2	2	2	3

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია N2 დაწესებულებაში 2015 წლის პირველი 5 თვის მანძილზე პაციენტთა ავადობა. აღნიშნული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ დაწესებულებაში ყველაზე გავრცელებულია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები, ვირუსული ჰეპატიტები, საჭმლის მომწელებელი სისტემის, სასუნთქი სისტემის, ნერვული სისტემის და სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები.

N	დაავადებები	თვეები				
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
1	ვირუსული ინფექციები, რომლებსაც ახასიათებს კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანება	0	0	3	0	0
2	ვირუსული ჰეპატიტები	119	239	217	207	210
3	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები	17	19	14	11	21
3	სიმსივნეები	0	1	0	2	0
4	სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები	1	2	0	0	1
5	ფარისებრი ჯირკვლების დაავადებები	0	1	0	1	2
6	შაქრიანი დიაბეტი	14	12	12	16	20
7	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	196	49	202	181	201
8	ნერვული სისტემის დაავადებები	91	14	5	20	17
9	თვალისა და დანამატის დაავადებები	11	13	17	38	36
10	ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები	14	11	8	14	15
11	სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	72	68	100	83	122

12	სასუნთქი სისტემის დაავადებები	30	120	58	63	92
13	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	74	282	391	371	422
14	კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები	17	42	54	66	92
15	ძვალ კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებული ქსოვილის დაავ.	19	25	53	47	45
16	შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები	42	73	58	54	46
17	სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციაში	7	8	8	13	36
18	დაზიანება, მოწამლვა და გარე მიზეზების ზემოქმედებები	24	48	57	66	68
19	ავადობის და სიკვდილობის გარე მიზეზები	0	0	0	0	4

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა შეამოწმა სამედიცინო დოკუმენტაცია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ არ ხდება მოწვეულ ექიმ სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კონსულტაციების სათანადო აღრიცხვა. ასევე ხშირ შემთხვევაში არ ხდება ექიმ სპეციალისტთან კონსულტაციაზე პაციენტის ჩაწერის თარიღის მითითება და შესაბამისად, შეუძლებელია მოლოდინის ხანგრძლივობის დადგენა.

2015 წლის პირველი 5 თვის მანძილზე N2 დაწესებულებაში მოწვეულ ექიმ სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კონსულტაციების შესახებ მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში:

ექიმ-კონსულტანტი		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	სულ	
1	დერმატოლოგი	ვიზიტის რაოდენობა	4	4	4	4	6	22
		პაციენტთა რაოდენობა	96	94	107	85	118	500
2	ოფთალმოლოგი	ვიზიტის რაოდენობა	5	4	5	3	4	21
		პაციენტთა რაოდენობა	78	66	69	49	60	322
3	კარდიოლოგი	ვიზიტის რაოდენობა	6	4	6	5	6	27
		პაციენტთა რაოდენობა	61	53	51	47	73	285
4	ნევროპათოლოგი	ვიზიტის რაოდენობა	5	6	5	3	6	25
		პაციენტთა რაოდენობა	71	60	73	55	70	329
5	ექოსკოპისტი	ვიზიტის რაოდენობა	3	4	5	3	5	20
		პაციენტთა რაოდენობა	61	60	80	44	18	263
6	რენტგენოლოგი	ვიზიტის რაოდენობა	5	5	5	5	5	25
		პაციენტთა რაოდენობა	71	53	77	63	78	342
7	ინფექციონისტი	ვიზიტის რაოდენობა	6	4	5	4	6	25
		პაციენტთა რაოდენობა	56	25	36	32	66	215
8	ქირურგი	ვიზიტის რაოდენობა	5	9	5	2	5	26
		პაციენტთა რაოდენობა	25	65	50	46	49	235
9	ორთოპედ-სტომატოლოგი	პაციენტთა რაოდენობა	0	7	12	14	20	53

გარდა მოწვეული სპეციალისტებისა, ადგილობრივად კონსულტაციებს ატარებს ფსიქიატრი და სტომატოლოგი. მათ მიერ ჩატარებული კონსულტაციების შესახებ არსებული მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

სტომატოლოგისა და ფსიქიატრის მიერ კონსულტირებულ პაციენტთა რაოდენობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	სულ
ფსიქიატრი	285	231	341	291	261	1409
სტომატოლოგი	236	156	226	223	228	1069

დაწესებულებაში არის 2 სტომატოლოგიური კაბინეტი. სტომატოლოგიურ კაბინეტებში ხელმისაწვდომია შემდეგი მომსახურება: თერაპიული მკურნალობა, ქირურგიული მკურნალობა და ორთოპედიული მომსახურება. მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ სტომატოლოგიურ კაბინეტში, რომელიც განთავსებულია D კორპუსში, არ ხდება ჰიგიენური ნორმების და ინფექციის კონტროლის მოთხოვნების სრულად დაცვა. კაბინეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია.

პრობლემები იკვეთება სტომატოლოგის მომსახურების დროულად მიწოდების თვალსაზრისით. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც პაციენტს აქვს ძლიერი ტკივილი, მაგრამ მას უწევს რიგში ჩაწერა, რაც შეიძლება გაგრძელდეს ერთი კვირა ან მეტი, ვინაიდან დაწესებულებაში მხოლოდ 1 სტომატოლოგი მუშაობს, რომელიც თვის მანძილზე საშუალოდ 213 პაციენტს უწევს კონსულტაციას.

დაწესებულებაში არსებობს პრობლემები ქალთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰყავს გინეკოლოგი. დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის პირველი 5 თვის მანძილზე გინეკოლოგი არც ერთხელ არ ყოფილა მოწვეული დაწესებულებაში შესაბამისი კონსულტაციის გაწევის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ქალი პაციენტების გაყვანა სამოქალაქო კლინიკებში, რაც გარკვეულ პროცედურებთან და ლოდინთან არის დაკავშირებული.

სახალხო დამცველმა 2014 წლის ანგარიშში აღნიშნა N2 დაწესებულებაში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკის შესახებ, რაც ბოლო მონიტორინგის დროსაც არ შეცვლილა. იმისთვის, რომ პაციენტმა მიიღოს საჭირო სამედიცინო მომსახურება, იგი წერს განცხადებას სამედიცინო მომსახურების საჭიროების შესახებ და გადასცემს დაწესებულების მორიგე კონტროლიორს. ამ უკანასკნელს დღის განმავლობაში შეგროვებული განცხადებები მიაქვს კანცელარიაში, საიდანაც განცხადებები, რეგისტრაციის შემდგომ ეგზავნება დაწესებულების ექიმს. მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში მიაქვს მორიგე კონტროლიორს განცხადება კანცელარიაში დაუყოვნებლივ, თუმცა აქაც გაუგებარია, როგორ უნდა მოახდინოს სამედიცინო განათლების არმქონე მორიგე კონტროლიორმა შემთხვევის გადაუდებლობის განსაზღვრა. მნიშვნელოვანია, რომ პაციენტს

ნებისმიერ დროს, გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით, ხელი მიუწვდებოდეს ექიმის მომსახურებაზე,²⁸ ზემოთ აღწერილი პროცედურა კი ქმნის დამატებით ბარიერს სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში, ამასთან, არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

5.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა

პაციმრებს ფსიქიატრიულ დახმარებას უწევს 1 ფსიქიატრი. ფსიქიატრს ეხმარება 1 ექთანი. ფსიქიატრის კაბინეტი განთავსებულია საექიმო-სამედიცინო პუნქტში.

დაწესებულებაში ფსიქიატრს არ აქვს შექმნილი ნორმალური სამუშაო პირობები. ფსიქიატრის სამუშაო გრაფიკი უკიდურესად დატვირთულია, თვეში საშუალოდ 281 პაციენტს უწევს კონსულტაციას, რაც უარყოფითად აისახება მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და ამავდროულად, შესაძლებელია გამოიწვიოს ფსიქიატრის პროფესიული გადაწყვეტილება.

მწვავე ფსიქიკური პრობლემების შემთხვევაში პაციენტი გადაყავთ N18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში. ფსიქიატრის განმარტებით, რიგ შემთხვევებში გადაყვანის პროცესის დროში დაყოვნება გამოწვეულია N18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიული განყოფილების გადატვირთულობით.

2015 წლის პირველი ხუთი თვის მანძილზე ამბულატორიული ფსიქიატრიული მომსახურების მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	სულ
285	231	341	291	261	1409

დაწესებულების ფსიქიატრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტაციონარული მომსახურების მიღების მიზნით, დაწესებულებიდან 5 თვის მანძილზე გადაყვანილ იქნა 3 პაციენტი. 2015 წელს ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე დაწესებულებიდან გადაიყვანეს 3 ადამიანი. დაწესებულებაში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება წარმოადგენს.

დაწესებულებაში მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა. მონიტორინგის პერიოდში პროგრამაში ჩართული იყო 4 პაციმარი. მონიტორინგის პერიოდში სამედიცინო ნაწილში ფსიქიკური პრობლემების მქონე მხოლოდ ერთი პაციმარი იყო მოთავსებული.

2015 წლის პირველი 5 თვის მანძილზე დაწესებულებაში დაფიქსირდა თვითდაზიანების 196 შემთხვევა, სუიციდის მცდელობის 12 შემთხვევა და 1 სუიციდი.

²⁸ პუნქტი 34, ამონარიდი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ზოგადი ანგარიშიდან (CPT/Inf (93)12), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-03.htm> [ბოლოს ნანახია 24.09.2015]

დაწესებულებაში ასევე მოქმედებს მეტადონით ჩანაცვლების პროგრამა. პროგრამას ემსახურება განყოფილების გამგე - ნარკოლოგი, 2 ექიმი, 1 უფროსი ექთანი და 2 ექთანი. 2015 წელს 5 თვის მანძილზე პროგრამაში ჩაერთო 35 ახალი პაციენტი. მონიტორინგის დროს კი პროგრამაში ჩართული იყო 20 პაციენტი.

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის თანახმად,²⁹ პირის განთავსება სამართლო საკანში გახანგრძლივებული დროით შესაძლებელია გაუტოლდეს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას. სამართლო საკანის გამოყენების შესახებ 2007 წლის სტამბულის განცხადების შესაბამისად,³⁰ სამართლო საკანის გამოყენება სრულად უნდა აიკრძალოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პაციენტებთან. აღნიშნულის საპირისპიროდ, საანგარიშო პერიოდში კვლავ დაფიქსირდა ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტის სამართლო საკანში მოთავსების 2 ფაქტი³¹.

5.2 მედიკამენტები

N2 დაწესებულების წამლების სამარაგოში დასაქმებულია 1 ფარმაცევტი. ფარმაცევტი ყოველდღიურად ავსებს მედიკამენტების აღრიცხვისა და სპეციალური კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის ჟურნალებს. წამლების სამარაგოში არსებული მცირე ფართის გამო მედიკამენტების გარკვეული ნაწილი ინახება საწყობში. ფსიქოტროპული მედიკამენტები განთავსებულია სპეციალურ რკინის კარადაში. წამლების სამარაგოში დაცულია ტემპერატურული რეჟიმი, რაც დარღვეულია საწყობში, სადაც სამედიცინო აღჭურვილობასთან ერთად სხვადასხვა მალამოებიც ინახება, რომელთაც ასევე სჭირდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვა.

დაწესებულებას მედიკამენტებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი ამარაგებს. ვიზიტის დროს გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ რიგ შემთხვევებში მათ საჭირო მედიკამენტებს ოჯახის წევრები აწვდიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს აფთიაქი, სადაც პაციენტებს შეეძლებათ საკუთარი ხარჯით შეიძინონ საჭირო მედიკამენტები.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას N2 დაწესებულებაში ექიმების საკმარისი რაოდენობა
- დაწესებულებას დაემატოს სტომატოლოგის ერთი საშტატო ერთეული
- ქალი პაციენტები უზრუნველყოფილ იქნან გენდერულად სპეციფიკური სამედიცინო მომსახურებით. დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს სწავლება ქალთა

²⁹ 153 CCPR, General Comment 20/44, April 3, 1992.

³⁰ International Psychological Trauma Symposium (2007), The Istanbul Statement on the use and effects of solitary confinement.

³¹ ს.ტ. 2015 წლის პირველი 6 თვის მანძილზე ორჯერ იყო მოთავსებული სამართლო საკანში.

ჯანმრთელობის საკითხებზე

- აღმოფხვრას პატიმრის მიერ წერილობითი განცხადებით სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის მანკიერი პრაქტიკა, პატიმრები უზრუნველყოფილ იქნან დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით, ასევე დაცული იქნას კონფიდენციალურობის პრინციპი
- მაქსიმალურად უზრუნველყოს პატიმრებისა და ექიმების უშუალო კონტაქტი არასამედიცინო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, მათ შორის N2 დაწესებულებაში გამოძახების ღილაკის დამონტაჟებისა და/ან სამედიცინო პერსონალის მიერ საკნების ყოველდღიური შემოვლის ვალდებულების დაწესების გზით
- უზრუნველყოფილ იქნას N2 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება
- სათანადო ფსიქიატრიული მომსახურების მიღების მიზნით, დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტს დაემატოს ფსიქიატრის 1 შტატი
- ფსიქიკური ჯანმრთელობის, წამალ დამოკიდებულების და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების პრობლემის გათვალისწინებით გაძლიერდეს სუიციდის პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევა
- მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის, შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქციების მიცემის გზით, რათა სამედიცინო პერსონალმა მოახდინოს სამედიცინო დოკუმენტაციის (მათ შორის კონსულტაციის ჟურნალების) სათანადო წარმოება
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში არსებულ სამედიცინო კაბინეტებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად
- ყველა მედიკამენტი შენახული იქნას მედიკამენტების შენახვის წესის სრული დაცვით, შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში

6. კვება

„ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისის ბრძანების³² მე-14 მუხლში დამატებით განსაზღვრულია დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი პატიმრებისათვის, ასევე სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პოსტ-

³² ძალადაკარგულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 08/13/2015 N 88 - N 01-34/ნ ერთობლივი ბრძანებით

ოპერაციულ მსჯავრდებულთათვის. ამავე მუხლში ასევე მითითებულია, რომ პაციენტებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დიეტას, ექიმის დანიშნულების შესაბამისად შეიძლება შეეცვალოს ერთი სახის პროდუქტი მეორეთი ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას საკვების ნორმებით გათვალისწინებული კვებითი ღირებულება.

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადა. დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა გამოკითხული პატიმრების ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს საკვების გემოსთან დაკავშირებით.

პატიმრებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა შეიძინონ ან სხვაგვარად მიიღონ საქონელი, საკვების და სასმელის ჩათვლით საკუთარი გამოყენებისთვის, ჰიგიენის, წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით, იმ ფასებში, რომლებიც ბევრად არ აღემატება თავისუფალ საზოგადოებაში არსებულ ფასებს.³³ პატიმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმწირესთან დაკავშირებით. საკითხის ადგილზე შესწავლით დგინდება, რომ მაღაზიის პროდუქციის მომარაგება არ ხდება საკმარისი სიხშირითა და რაოდენობით, რის გამოც, შესაბამისად ვერ ხდება დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- შეისწავლოს N2 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება

7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.³⁴ ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.³⁵ ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული. ³⁶ დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახავი სხვა სახდელები.³⁷ მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას. ³⁸

³³ ევროპული ციხის წესები, მუხ. 31.5

³⁴ ციხის ევროპული წესები. წესი 56.1.

³⁵ იქვე, წესი 56.2.

³⁶ იქვე, წესი 60.2.

დისციპლინური სახდელების გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე და გაეროს პატიმართა მოპყრობის მინიმალურ წესებთან შესაბამისობაში. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ის ქმედებები, რომლებიც იწვევენ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.³⁹ აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო N2 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 124 შემთხვევაში. ძირითადად, პატიმრის მიმართ დისციპლინური სახდელი გამოყენებული იყო ხმაურის, გადაძახილის, ყვირილის და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ 2014 წლის მონაცემებს შევადარებთ 2015 წლის დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკას, აშკარად შეინიშნება ზრდის ტენდენცია, კერძოდ, 2014 წლის პირველის 6 თვის მანძილზე სხვადასხვა დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 92 შემთხვევაში, ამავე წლის მეორე ნახევარში ეს რიცხვი 118-მდე გაიზარდა, ამჟამად კი, 2015 წლის პირველი 6 თვის მონაცემების მიხედვით უკვე 124 შემთხვევა დაფიქსირდა.

2015 წლის პირველ 6 თვეში გამოყენებული დისციპლინური ღონისძიებები				
სამართლო საკანში მოთავსება	საყვედური	სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა	ხანმოკლე პაემნის აკრძალვა	სულ
72	28	23	1	124

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ დისციპლინური სახდელების დაკისრებისას, დაწესებულების ადმინისტრაცია ყველაზე ხშირად⁴⁰ იყენებს სამართლო საკანში მოთავსებას, რაც ზემოაღნიშნულ პერიოდში სრულად გამოყენებული დისციპლინური სახდელების 58%-ს შეადგენს. აღნიშნული ეწინააღმდეგება პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, სამართლო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 21-22 ოქტომბერს N2 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ სახალხო დამცველმა სწორედ ამ დებულების დაცვის რეკომენდაციით მიმართა დაწესებულების დირექტორს, თუმცა, როგორც ბოლო მონიტორინგის შედეგებიდან ჩანს, აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ არის გაზიარებული⁴¹.

³⁷ იქვე, წესი 60.2.

³⁸ იქვე, წესი 60.2.

³⁹ პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 29 .

⁴⁰ 44 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სატელეფონო საუბრის შეზღუდვა.

დისციპლინური სახდელების 6 თვის მონაცემების შედარება	2014 წლის I ნახევარი	2014 წლის II ნახევარი	2015 წლის I ნახევარი
დისც. დასჯის შემთხვევები	92	118	124
სამართლო საკანში მოთავსება	57	70	72

N2 დაწესებულების თანამშრომელთა მიერ დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მზარდი პრაქტიკის სხვა დისციპლინური სახდელების არაეფექტიანობით ახსნა, ასევე სხვა სახდელების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ N2 დაწესებულებაში არსებობს დისციპლინური სახდელების პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა.

სამართლო საკანის გამოყენების შესახებ 2007 წლის სტამბულის განცხადების⁴² შესაბამისად, მისი გამოყენება სრულად უნდა აიკრძალოს ფსიქიკური პრობლემის მქონე პატიმრებთან. სამწუხაროდ, ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის⁴³ სამართლო საკანში მოთავსების ფაქტი კვლავ გამოვლინდა N2 დაწესებულებაში. ამგვარი ფაქტების თავიდან აცილებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სამედიცინო პერსონალს, რაც პატიმრობის კოდექსითაც არის განსაზღვრული. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის, 88-ე მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაცია ვალდებულია სამედიცინო პერსონალს აცნობოს სამართლო საკანში პირის მოთავსების შესახებ. სამართლო საკანში პირი უნდა იყოს სამედიცინო პერსონალის ყოველდღიური, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ. აუცილებლობის შემთხვევაში სამართლო საკანში ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს ექიმის დასკვნის საფუძველზე.“ ამდენად, მნიშვნელოვანია ხსენებული დებულება მკაცრად იყოს დაცული სამედიცინო პერსონალის მიერ და თავიდან იქნას აცილებული ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსება.

სანიმუშო ყოფაცხვისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია, მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები. N2 დაწესებულებაში 2015 წლის პირველი 5 თვის მანძილზე პატიმართა წახალისების შემთხვევები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

მადლობის გამოცხადება	13
დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა	10
წახალისების სხვა ფორმები	76
სულ	99

⁴¹რეკომენდაცია N2 დაწესებულების დირექტორს: დისციპლინური სახდელის დაკისრებისას იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამართლო საკანში მოთავსება გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

⁴² International Psychological Trauma Symposium (2007), The Istanbul Statement on the use and effects of solitary confinement.

⁴³ ს.ტ. 2015 წლის პირველი 6 თვის მანძილზე 2-ჯერ იყო მოთავსებული სამართლო საკანში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის პირველი 6 თვის მანძილზე N2 დაწესებულებაში წახალისების მხოლოდ 27 შემთხვევა დაფიქსირდა, ამავე წლის მეორე ნახევარში ეს რიცხვი 182-მდე გაიზარდა, თუმცა 2015 წლის პირველი 6 თვის მონაცემების თანახმად, 99 შეადგინა, ანუ წახალისების შემთხვევებმა არსებითად იკლო, რაც უარყოფით ტენდენციას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, დაწესებულების დირექტორმა უფრო აქტიურად გამოიყენოს წახალისების ფორმები, ვინაიდან პატიმართა ხშირი წახალისება შეასუსტებს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენას და ხელს შეუწყობს პატიმართა რესოციალიზაციას.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- შემუშავდეს დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება
- შეისწავლოს N2 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მომეტებული პრაქტიკა და მიიღოს ყველა გონივრული ზომა დისციპლინური სახდელების პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა არ მოხდეს ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრის სამართლო საკანში მოთავსება

რეკომენდაცია N2 დაწესებულების დირექტორს:

- დისციპლინური სახდელის დაკისრებისას იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამართლო საკანში მოთავსება გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში
- ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები

8. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.⁴⁴

⁴⁴ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 79-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2015 წლის იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით N2 დაწესებულებაში 3 073 ხანმოკლე პაემანი განხორციელდა.

N2 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ 2015 წლის განმავლობაში პაემნით სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	თვე	ხანმოკლე პაემანი
1.	იანვარი	512
2.	თებერვალი	500
3.	მარტი	500
4.	აპრილი	506
5.	მაისი	506
6.	ივნისი	549

ევროპული ციხის წესების 24.4 მუხლის თანახმად, პაემნების ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ N2 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინიმუმ გადატიხრულ ოთახებში. ასეთ შემთხვევაში, პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას.

კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების⁴⁵ თანახმად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

N2 დაწესებულებაში ყველა პატიმარი ვერ სარგებლობს მისთვის კანონით მინიჭებული პაემნის უფლებით. აღსანიშნავია, რომ პაემნის უფლების განხორციელებას ხელს უშლის პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. მაგალითად, მაშინ როდესაც 2015 წლის ივნისის თვეში N2 დაწესებულებაში განთავსებული იყო 1230 მსჯავრდებული⁴⁶, მათგან მხოლოდ 549 პირმა ისარგებლა ხანმოკლე პაემნის უფლებით, რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებია.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

2015 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით N2 დაწესებულებაში განხორციელდა 412 ხანგრძლივი პაემანი. ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევაში, პატიმარს ერთი წლის განმავლობაში არ ეძლევა ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა. ამკარად სახეზეა ზემოაღნიშნული პუნქტის არასწორი ინტერპრეტაცია, ვინაიდან ამ პუნქტში საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი (დისციპლინური სახდელის ვადა გასული არ არის) და ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც გასულია დისციპლინური სახდელის ვადა, თუნდაც მსჯავრდებული სახდელდადებულად ითვლებოდეს.

2015 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით N2 დაწესებულებაში განხორციელებული ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	თვე	ხანგრძლივი პაემანი
1	იანვარი	58
2	თებერვალი	77

⁴⁵ წესი 79

⁴⁶ ივნისის თვის მონაცემებით დაწესებულებაში სულ მოთავსებული იყო 1508 პატიმარი, აქედან 1230 მსჯავრდებული და 278 ბრალდებული.

3	მარტი	55
4	აპრილი	69
5	მაისი	75
6	ივნისი	78

სატელეფონო საუბრები

პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - შეუზღუდავი სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა.

N2 დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია საცხოვრებელ სართულებზე არსებული ტელეფონის აპარატებით, რომლებიც განთავსებულია სამორიგეო ოთახში. აღსანიშნავია, რომ დარეკვის დროს საუბარს ყოველთვის ესწრება მორიგე თანამშრომელი, რითაც ირღვევა პირადი საუბრის კონფიდენციალურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულებს სატელეფონო ზარების განხორციელებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ექმნებათ პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია სატელეფონო ბარათებთან. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ერთ სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავს სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკება, შესაბამისად აღარ აქვს დამატებითი სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება და იგი იძულებულია ახალი ბარათი შეიძინოს, რაც დამატებით ხარჯებს წარმოადგენს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი არასწორ ნომერს აკრეფს ან სატელეფონო კავშირი გაწყდება, ბარათი იბლოკება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მუდმივად არის სატელეფონო ბარათების დეფიციტი, რაც ხელს უშლის პატიმრებს შეუზღუდავად ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებით.

რეკომენდაცია სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
- N2 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან არ მოხდეს პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მე-6 ნაწილის არასწორი ინტერპრეტაცია

- ტელეფონების აპარატები განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შეეძლება დაწესებულების თანამშრომლის მოსმენის გარეშე განახორციელოს სატელეფონო ზარი.